



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

05.12.2023



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: დიანა

გვარი: მჭედლიშვილი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	გამოყენებითი მათემატიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მერვე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0541 მათემატიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა - არანაკლებ 3 წელი)
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, 0186, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას №26
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი	აკრედიტებული; 11.10.2022, №1277414

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



	და ნომერი	
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	11.10.2022
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი; 11.10.2023
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01.07.2027

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია, დოქტორანტს დაცვაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად სავალდებულო სახით განესაზღვროს დარგის შესაბამისი იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
2. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პირებმა უზრუნველყონ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული დოქტორანტების სწავლისა და კვლევების წარმოების უწყვეტობა.
3. რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ არსებულ სამეცნიერო ბაზებთან შესაძლებელი იყოს წვდომა როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე მის მიღმა.
4. რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტურ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლების მოპოვება იმისათვის, რომ დარგში არსებული უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.
5. რეკომენდებულია, ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.
6. რეკომენდებულია, პროგრამის (და ფაკულტეტის) ბიუჯეტის შემუშავების დროს სამეცნიერო ლიტერატურის (როგორც წიგნები, ასევე სამეცნიერო ჟურნალები) მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაიზარდოს და შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ საჭიროებებთან.
7. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.
8. რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღნიშნული შედეგების გათვალისწინება.
9. რეკომენდებულია, უცხოური ანალოგების მოძიება და პროგრამის დადარება, მიუხედავად მისი უნიკალურობისა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და მასთან თანდართული დოკუმენტაციის შეფასების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 9 რეკომენდაციიდან სრულად შეასრულა 8, ხოლო ერთი რეკომენდაცია (მე-5 რეკომენდაცია) შესრულების პროცესშია.

რჩევები⁸

1. სასურველია, მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან პროგრამის განვითარებაში ჩართვის მოტივაციის გაზრდის მიზნით.
2. სასურველია, „სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“ მკაფიოდ განსაზღვრავდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დონეს კონკრეტული სტუდენტის მზაობის დონისგან დამოუკიდებლად.
3. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა გადახედოს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა/სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადება“ კრედიტების და, შესაბამისად, საკონტაქტო საათების მოცულობას, რათა დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულფასოვნად შეისწავლონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხები, განსაკუთრებით კი იმ დოქტორანტებს, ვისაც კვლევის გამოცდილება არა აქვს.
4. სასურველია, დისერტაცია, როგორც ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, შესრულდეს მხოლოდ პროგრამის სწავლების ენაზე.
5. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს დისერტაციების გაფორმების საერთო წესის პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი, რათა დაცული იყოს დისერტაციების ერთიანი ფორმატი.
6. სასურველია, ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის დამკვიდრებული იყოს ეფექტური კომუნიკაცია საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს რჩევა დისერტაციის გაფორმებისა და შეფასების წესის დახვეწასა და პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგის შესახებ.
8. სასურველია, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების მიღების/გაცემის პროცედურები გახდეს მეტად უნიფიცირებული.
9. სასურველია, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, ერთეულ ასლად, ნაბეჭდი ფორმით, ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
10. სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის პრაქტიკაში დანერგვა მიუხედავად მათი რაოდენობისა.
11. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად და აქტიურად განხორციელება.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



- 12. სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, მათი განმავითარებელი ფუნქციიდან გამომდინარე.
- 13. სასურველია, პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება ხორციელდებოდეს წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობით, საანგარიშო ვადის ამოწურვამდე, რათა ცვლილების განხორციელებისთვის რჩებოდეს ლოგიკური ვადა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევების შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ამ ნაწილში შეფასება არ განხორციელებულა.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია I ¹⁴	რეკომენდებულია, დოქტორანტს დაცვაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად სავალდებულო სახით განესაზღვროს დარგის შესაბამისი იმპაქტ-ფაქტორის

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	მქონე peer-reviewed ჟურნალში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, სადისერტაციო საბჭოს მეხუთე მუხლის 5.5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეიტინგულ რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემებში, რომელთაგან ერთი მაინც მათემატიკის მიმართულების იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში. დისერტაცია უნდა გამოქვეყნდეს საგამომცემლო ან ელექტრონული ფორმით დაცვიდან სამი თვის ვადაში.“ რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁵ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ი ^ა	<ul style="list-style-type: none"> • მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება; • სსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №05/01-153 დადგენილება; • დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია II ¹⁶	რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პირებმა უზრუნველყონ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული დოქტორანტების სწავლისა და კვლევების წარმოების უწყვეტობა.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით უნივერსიტეტმა ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს დაავალა მაქსიმალურად უზრუნველყონ გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	სამსახურთან კოორდინაციით დაევალა აღნიშნული საკითხის მკაცრი მონიტორინგი და ვადების კონტროლი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁷ II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ი ^ა	<ul style="list-style-type: none"> • 2023 წლის 16 თებერვლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #1 – 2023; • დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია III ¹⁸	რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ არსებულ სამეცნიერო ბაზებთან შესაძლებელი იყოს წვდომა როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე მის მიღმა.
შეფასება	<p>რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტის მიერ შეძენილ იქნა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები, რომელთა გამოყენება თავისუფალია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. წვდომა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე მის გარედანაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით (...@sou.edu.ge).</p> <p>ამასთან, გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს თავისუფალ წვდომას შემდეგ ბიბლიოთეკებსა და საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • British Library - ბრიტანული ბიბლიოთეკა; • AMICUS - კანადის ეროვნული გაერთიანებული კატალოგი; • U.S. National Library of Medicine - აშშ-ს მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკა; • University of Toronto Libraries - ტორონტოს უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკების კატალოგი; • Bibliothèque de l'Université de Montréal -

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მონრეალის უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკების ქსელი;</p> <ul style="list-style-type: none"> • York Library - იორკის უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკების ქსელი; • University of Western Ontario Library - დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკა • University of Ottawa Library - ოტავას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკა; • University of Alberta Libraries - ალბერტას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკა; • University of Manitoba Libraries - მანიტობას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკა. • University of Michigan Library - მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) ბიბლიოთეკა; • ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები; • კალიფორნიის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები; • Columbia University Libraries - კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; • University of Aberdeen Libraries - აბერდინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; • MIT library - მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; • პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. • Cambridge Journals Online • e-Duke Journals Scholarly Collection • Edward Elgar Publishing Journals and Development Studies ebooks • European Respiratory Journal • IMechE Journals • Mathematical Sciences Publishers Journals • Openedition Journals • Royal Society Journals Collection • SAGE Journals • The Company of Biologist Journals • ACM Digital Library <p>რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ^{19I}	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს Innovative Systems Management (ხელშეკრულება #53,

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მარტი, 2023 წ.);</p> <ul style="list-style-type: none"> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმს შორის (ხელშეკრულება #46, თებერვალი, 2023 წ.); დაწესებულების ანგარიში.
--	--

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია IV ²⁰	რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტურ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლების მოპოვება იმისათვის, რომ დარგში არსებული უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტის მიერ შეძენილ იქნა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები, სადაც ასევე წარმოდგენილია, სადოქტორო პროგრამასთან რელევანტული მათემატიკის მიმართულების ბაზებიც. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²¹ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს Innovative Systems Management (ხელშეკრულება #53, მარტი, 2023 წ.); სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმს შორის (ხელშეკრულება #46, თებერვალი, 2023 წ.); დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია V ²²	რეკომენდებულია, ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს

²⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.
შეფასება	როგორც დაწესებულების ანგარიშშია აღნიშნული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა გამოკითხვა სტუდენტებს შორის, რომელიც ითვალისწინებდა მათ შორის ბიბლიოთეკის მუშაობის კმაყოფილების კვლევას. გამოკითხულთა 65% კმაყოფილი აღმოჩნდა ბიბლიოთეკის მუშაობით, 23% - ნაწილობრივ, ხოლო 12 % - უკმაყოფილო. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მათ შორის სხვადასხვა სახის აქტივობების, ტრენინგების განხორციელების კუთხით. რეკომენდაცია შესრულებულების პროცესშია.
რჩევა ²³ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • შეფასების ანალიზის დოკუმენტი; • დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია VI ²⁴	რეკომენდებულია, პროგრამის (და ფაკულტეტის) ბიუჯეტის შემუშავების დროს სამეცნიერო ლიტერატურის (როგორც წიგნები, ასევე სამეცნიერო ჟურნალები) მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაიზარდოს და შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ საჭიროებებთან.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ცვლილება შევიდა ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტში, სადაც გათვალისწინებულ იქნა გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამის საჭიროებები. სამეცნიერო

²²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ლიტერატურის შეძენა/განახლების მიზნით აღნიშნული პროგრამისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 2000 ლარი. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²⁵ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი - 2022; • ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი -2023; • დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VII ²⁶	რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ფაკულტეტის ადმინისტრაციას დაევალა მაქსიმალურად უზრუნველყონ ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამის, შეუფერხებელი განხორციელება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით დაევალა აღნიშნული საკითხის მკაცრი მონიტორინგი და ვადების კონტროლი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²⁷ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • 2023 წლის 16 თებერვლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #1 – 2023; • დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
-----------------------	---

²⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VIII ²⁸	რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღნიშნული შედეგების გათვალისწინება.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, განხორციელდა პროგრამის ერთადერთი სტუდენტის მიერ როგორც სასწავლო კურსების, ასევე პროგრამის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა შესაბამისი ანალიზი და ეცნობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს. დაგეგმილია შეფასების განხორციელება პერმანენტულად, რაც ხელს შეუწობს პროგრამის შემდგომ განვითარებას. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²⁹ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • შეფასების ანალიზის დოკუმენტი; • დაწესებულების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IX ³⁰	რეკომენდებულია, უცხოური ანალოგების მოძიება და პროგრამის დადარება, მიუხედავად მისი უნიკალურობისა.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, მოძიებულ იქნა როგორც უცხოური ანალოგები, ასევე ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედი მსგავსი პროგრამები. განხორციელდა მათთან პროგრამის დადარება. შეიქმნა შესაბამისი დოკუმენტი, სადაც აისახა არსებული თანხვედრა და განსხვავებულობა, დაიწერა შესაბამისი დასკვნა. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ³¹ I	-

²⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none">• დადარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი;• დაწესებულების ანგარიში.

-

ექსპერტის ხელმოწერა

³¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)